

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №460

2016 წლის 7 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს ტექნიკური რეგლამენტი – ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების წესი.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების გამოყენების უსაფრთხოების კლასის განსაზღვრის კრიტერიუმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №751 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების წესი

მუხლი 1

1. ეს ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების (შემდგომში – გენმოდირეცირებული ორგანიზმები) ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების წესს.

2. ამ ტექნიკურ რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ცოცხალი გენმოდირეცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

მუხლი 2

1. უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპისა და ზიანის პრევენციის პრინციპის გათვალისწინებით, გენმოდირეცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებისას გარემოზე, ბიომრავალფეროვნებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებისთვის (პრევენციისთვის) სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით, გენმოდირეცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება შესაძლებელი, მხოლოდ საქმიანობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შეფასების საფუძველზე.

2. ჩაკეტილ სისტემაში გენმოდირეცირებული ორგანიზმების გამოყენების სახეობისა და მოცულობის, ლაბორატორიული მუშაობის ტექნიკის, ტექნოლოგიური შესაძლებლობების, აღჭურვილობის, პერსონალის დაცვისა და უსაფრთხოების ზომების შესაბამისობის მიხედვით განისაზღვრება გენმოდირეცირებული ორგანიზმების გამოყენებით გამოწვეული პოტენციური საფრთხის (რისკის) შემდეგი დონეები:

ა) რისკის პირველი დონე:



ა.ა) გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში ისეთი გამოყენება, რომელიც საფრთხეს არ უქმნის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობას ან დაკავშირებულია უმნიშვნელო დონის რისკთან და როდესაც პირველი დონის შეკავების ღონისძიებების გამოყენება საკმარისია გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვისთვის – შეესაბამება რისკის დონეს – 1ა;

ა.ბ) გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში ისეთი გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია დაბალი დონის რისკთან და როდესაც მეორე დონის შეკავების ღონისძიებების გამოყენება საკმარისია გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვისთვის – შეესაბამება რისკის დონეს – 1ბ;

ბ) რისკის მეორე დონე:

ბ.ა) გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში ისეთი გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია საშუალო დონის რისკთან და როდესაც გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვისთვის საჭიროა მესამე დონის შეკავების ღონისძიებების განხორციელება – შეესაბამება რისკის დონეს – 2ა;

ბ.ბ) გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში ისეთი გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია მაღალი დონის რისკთან და როდესაც გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვისთვის საჭიროა მეოთხე დონის შეკავების ღონისძიებების განხორციელება – შეესაბამება რისკის დონეს – 2ბ.

მუხლი 3

1. გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების რისკის დონე განისაზღვრება საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, ცოცხალი გენმოდირეგულირებადი ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის (შემდგომში – ლიცენზია) მისაღებად განაცხადის წარდგენამდე, შესაბამისი შეფასების საფუძველზე.

2. გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების რისკის დონის განსაზღვრა ეფუძნება რისკის შეფასებას. რისკის შეფასების სამუშაოთა კომპეტენტურად და ხარისხიანად ჩასატარებლად, საქმიანობის განმახორციელებლის მიერ აუცილებელია, განისაზღვროს ბიოუსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

3. რისკის შეფასება სრულად უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის ყველა ასპექტს, მათ შორის, გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის გამოყენებას, ტრანსპორტს, საქმიანობის განხორციელების ადგილის დეკონტამინაციას, გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ინაქტივაციას, წარმოქმნილი ემისიების გაუვნებელყოფას, წარმოქმნილი ნარჩენების გაუვნებელყოფას და საბოლოო განთავსებას.

4. გენმოდირეგულირებადი ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

ა) საქმიანობის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე პოტენციურად უარყოფითი გავლენის (ეფექტების) იდენტიფიცირება, რომელიც შესაძლოა, დაკავშირებული იყოს რეციპიენტ ორგანიზმთან, ინსერტირებულ გენეტიკურ მასალასთან, ვექტორთან, დონორ ორგანიზმთან, შედეგად მიღებულ გენმოდირეგულირებულ ორგანიზმთან;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის (მათ შორის, ჩაკეტილი სისტემის) მახასიათებლები;

გ) პოტენციურად უარყოფითი ეფექტების სიმწვავის განსაზღვრა;

დ) პოტენციურად უარყოფითი ეფექტების წარმოქმნის ალბათობა. ამასთან, პოტენციური უარყოფითი ეფექტები მოიცავს:

დ.ა) ადამიანების დაავადებებს, ალერგიული და ტოქსიკური ეფექტების ჩათვლით;

დ.ბ) ცხოველების და მცენარეების დაავადებებს;



დ.გ) უარყოფით შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია დაავადების განკურნების შეუძლებლობით ან ეფექტური პროფილაქტიკის არარსებობით;

დ.დ) უარყოფით შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია გარემოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელებით;

დ.ე) უარყოფით შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია გენეტიკური მასალის ბუნებრივი ტრანსფერით/გადაცემით სხვა ორგანიზმებში ან სხვა ორგანიზმებისგან;

დ.ვ) უარყოფით შედეგებს, რომლებიც გამოწვეულია გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმების სხვა ორგანიზმებთან ინტერაქციით;

ე) წარმოქმნილი ნარჩენების განთავსება და ემისიების გაუვნებელოება.

5. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების შეფასების ძირითადი ეტაპებია:

ა) საფრთხის იდენტიფიცირება (მაგალითად, რეციპიენტის ან დონორის, ვექტორის ან ინსერტის უარყოფითი თვისებები) და რისკის დონის წინასწარი განსაზღვრა;

ბ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მახასიათებლების განხილვა (მათ შორის, როგორ განხორციელდება ჩაკეტილ სისტემაში გამოყენება). ასევე არასტანდარტული პროცედურების ან სენსიტიური გარემოს და რისკის წინასწარი დონის შესაბამისი კორექტირება;

გ) ჩაკეტილ სისტემაში შეკავების და კონტროლის სხვა შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა (ღონისძიებების შერჩევა ამ ტექნიკური რეგლამენტის №2 დანართიდან);

დ) შეკავების და კონტროლის ღონისძიებების განხილვა სრული შეფასების კონტექსტში.

6. ამ ტექნიკური რეგლამენტის №2 დანართში მოცემულია გენმოდიფიცირებული მიკრო-ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში შეკავებისა და კონტროლის ღონისძიებები. მას შემდეგ, რაც განისაზღვრება გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში შეკავებისა და კონტროლის საჭირო დონე, დგინდება რისკის დონე, ყველაზე მაღალი დონის შემთავსებელი ღონისძიებების საჭიროების მიხედვით.

7. რისკის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საქმიანობის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისა და ემისიების გაუვნებელოების საკითხს და მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისათვის.

მუხლი 4. განზრახული საქმიანობის რისკის დონესთან დაკავშირებით ეჭვის არსებობის შემთხვევაში, განსაზღვრული უნდა იქნეს რისკის უფრო მაღალი დონე.

მუხლი 5. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების რისკის დონის განსაზღვრისათვის ჩატარებული რისკის შეფასების ანგარიში უნდა ინახებოდეს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. საქმიანობით გამოწვეული რისკის შეფასების ანგარიში წარედგინება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების ლიცენზიის მისაღებად წარდგენილ განაცხადთან ერთად.

მუხლი 6. გენმოდიფიცირებული ორგანიზმის ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების რისკის დონის განსაზღვრის მიზნით განხორციელებული რისკის შეფასება პერიოდულად უნდა იქნეს გადახედილი და დაუყოვნებლივ განახლდეს, თუ გამოყენებული შემთავსებელი ზომები აღარ არის ადეკვატური ან რისკის დადგენილი დონე შესაბამისი, ან თუ არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონის (ახალი სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის) გათვალისწინებით, შეფასება აღარ არის რელევანტური.



შეკავების და რისკის დონეები

საფრთხის კონტროლისათვის საჭირო შემაკავებელი ღონისძიებების დონე	რისკის დონე
პირველი დონე	1 ა
პირველი დონე, მაგრამ მეორე დონის ღონისძიებების საჭიროება ან მეორე დონე (დამატებითი ღონისძიებების საჭიროების გარეშე)	1 ბ
მეორე დონე, მაგრამ მესამე დონის ღონისძიებების საჭიროება ან მესამე დონე (დამატებითი ღონისძიებების საჭიროების გარეშე)	2 ა
მესამე დონე, მაგრამ მეოთხე დონის ღონისძიებების საჭიროება ან მეოთხე დონე	2 ბ

ცხრილი I
ლაბორატორიული საქმიანობის უსაფრთხოების ზომები
(ცხრილი A)

		რისკის დონეები			
	სპეციფიკაციები				
		1	2	3	4
1	ლაბორატორიული კოსტუმი: იზოლაცია	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
2	ლაბორატორია: ჰერმეტიკი	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
ადჭურვილობა					
3	ზედაპირის მდგრადობა წყლის, მჟავების, ტუტეების, გამხსნელების, სადენზიფიკაციო საშუალებების, დეკონტამინაციის აგენტების მიმართ და ადვილად გაწმენდადობა	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა, იატაკი)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა, იატაკი, ჭერი, კედლები)
4	ლაბორატორიაში შესვლა: ჰაერჩამკეტის საშუალებით	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
5	უშუალო გარემოსთან შედარებით უარყოფითი წნევა	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
6	ლაბორატორიაში შემავალი და	არა	არა		

	გამომავალი ჰაერი უნდა იფილტრებოდეს ფილტრით HEPA-	სავალდებულო	სავალდებულო		
				HEPA ფილტრაცია სავალდებულო გამომავალი ჰაერისათვის	HEPA ფილტრაცია სავალდებულო გამომავალი და შემავალი ჰაერისათვის
7	მიკრობიოლოგიური უსაფრთხოების შესახებ ჩანაწერი	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო
8	ავტოკლავი	საიტზე	შენიშნაში	En suite	ლაბორატორიაში
მუშაობის სისტემა					
9	შეზღუდული ხელმისაწვდომობა	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
10	ბიოსაშიშროების ნიშანი კარზე	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
11	სპეცილური ზომები აეროზოლის გავრცელების კონტროლისათვის	არა სავალდებულო	სავალდებულოა მიმინიზაცია	სავალდებულოა პრევენცია	სავალდებულოა პრევენცია
12	შხაპი	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
13	დამცავი ტანსაცმელი	შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი	შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	შესაბამისი დამცავი ტანსაცმელი	ლაბორატორიაში შესვლამდე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სრული შეცვლა

		სპეციფიკაციები	რისკის დონეები			
			1	2	3	4
14	ხელთათმანები	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	
15	ვექტორის კონტროლი	ეფექტური	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	
ნარჩენი						

16	გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკროორგანიზმების გაუვნებელყოფა ხელსაზრის, შხაპისა და მსგავს გამდინარე წყლებში	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
17	გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკროორგანიზმების გაუვნებელყოფა დაბინძურებულ მასალებში და ნარჩენებში				
		ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
	სხვა ზომები				
18	ლაბორატორია საკუთარი აღჭურვილობის შესანახად	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
19	ფანჯარა დაკვირვებისათვის ან ალტერნატიული საშუალება, რათა ექსპერიმენტატორისი დანახვა იყოს შესაძლებელი	ფაკულტატური	ფაკულტატური	ფაკულტატური	სავალდებულო

უსაფრთხოების პირობები სათბურებისა და მცენარეთა ზრდის ოთახებისათვის
(ცხრილი B)

		რისკის დონეები			
სპეციფიკაციები		1	2	3	4
შენიშვნა					
1	სათბური: მუდმივი სტრუქტურა	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
აღჭურვილობა					
2	შესასვლელი სეპარირებული ოთახიდან ორი შემაერთებული კარით	არა სავალდებულო	ფაკულტატური	ფაკულტატური	სავალდებულო

3	დაბინძურებული წყლის კონტროლი	ჩამდინარე წყლის კონტროლი	ფაკულტატი	ჩამდინარე წყლის მინიმიზაცია	ჩამდინარე წყლის პრევენცია	ჩამდინარე წყლის პრევენცია
	მუშაობის სისტემა					
4	არასასურველი სახეობების (როგორებიცაა: მწერები, მღრღნელები, ფეხსახსრიანები) კონტროლის საშუალებები	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
5	შენობაში ცოცხალი ნიმუშების გადაადგილების დროს უნდა იქნეს უზრუნველყოფილი გომის გავრცელების კონტროლი	გავრცელების მინიმიზაცია	გავრცელების მინიმიზაცია	გავრცელების პრევენცია	გავრცელების პრევენცია	გავრცელების პრევენცია

უსაფრთხოების პირობები ცხოველთა სამყოფელში (animal unit) მუშაობისათვის
(ცხრილი C)

		რისკის დონეები			
სპეციფიკაციები		1	2	3	4
ცხოველთა სამყოფელი					
1	ცხოველთა სამყოფელის იზოლირება	ფაკულტატი	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
2	განცალკევებული ცხოველთა სამყოფელი ჩასაკეტი კარით	ფაკულტატი	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
3	ცხოველთა სამყოფელის დიზაინი უნდა აადვილებდეს დეზინფექციას (მაგ: წყალგამძლე და ადვილად გარეცხადი გალიები)	ფაკულტატი	ფაკულტატი	სავალდებულო	სავალდებულო
4	ადვილად გარეცხადი იატაკი და/ან კედლები	ფაკულტატი	სავალდებულო (იატაკი)	სავალდებულო (იატაკი და კედლები)	სავალდებულო (იატაკი და კედლები)
5	ცხოველების მოთავსება შესაბამის გალიაში	ფაკულტატი	ფაკულტატი	ფაკულტატი	ფაკულტატი

6	ფილტრები იზოლატორებზე იზოლირებული ოთახი	ან	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო
---	---	----	--------------------	-------------	-------------	-------------

ცხრილი II
უსაფრთხოების პირობები სხვა ქმედებებისთვის

		რისკის დონეები			
სპეციფიკაციები					
		1	2	3	4
ზოგადი					
1	სიცოცხლისუნარიანი მიკროორგანიზმები უნდა ინახებოდეს სისტემაში, რომელიც იზოლირებულია გარემოსაგან	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
2	ჩაკეტილი სისტემებიდან გამონაბოლქვი აირების კონტროლი	არა სავალდებულო	სავალდებულოა	სავალდებულო ა გავრცელების პრევენცია	სავალდებულო ა გავრცელების პრევენცია
			გავრცელების მინიმიზაცია		
3	ნიმუშის მომზადების დროს აეროზოლის კონტროლი	ფაკულტატური	სავალდებულოა	სავალდებულო ა გავრცელების პრევენცია	სავალდებულო ა გავრცელების პრევენცია
			გავრცელების მინიმიზაცია		
4	ნარჩენი კულტურების სითხის გაუვნებელყოფა	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
5	იზოლაციის დიზაინი უნდა უზრუნველყოფდეს გავრცელების პრევენციასა და მინიმიზაციას	არ არის სპეციფიკური მოთხოვნები	გავრცელების მინიმიზაცია	გავრცელების პრევენცია	გავრცელების პრევენცია
6	კონტროლირებადმა სისტემამ უნდა მოახდინოს ლაბორატორიის მთლიანი კონტენტის	ფაკულტატური	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო

	გაჟონვის შეკავება				
7	კონტროლირებადი ტერიტორია უნდა იძლეოდეს დეზინფექციის საშუალებას	არა სავალდებულო	ფაკულტატური	ფაკულტატური	სავალდებულო
	აღჭურვილობა				
8	შესასვლელი ჰაერჩამკეტის საშუალებით	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
9	ზედაპირის მდგრადობა, წყლის, მყავების, ტუტეების, გამხსნელების, დეზინფექციის მიმართ და ადვილად გაწმენდადობა	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა და იატაკი)	სავალდებულო (სამუშაო მაგიდა, იატაკი, ჭერი, კედლები)
10	კონტროლირებადი ტერიტორიის ვენტილაციის უზრუნველყოფა იმისათვის, რომ მინიმუმამე დაყვანილი დაბინძურება ჰაერის	ფაკულტატური	ფაკულტატური	ფაკულტატური	სავალდებულო
11		არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
	კონტროლირებად ტერიტორიაზე უნდა იყოს უარყოფითი წნევა				
12	კონტროლირებად ტერიტორიაზე შემავალი დაარა გამომავალი ჰაერი უნდა იფილტრებოდეს HEPA ფილტრით	სავალდებულო	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო (შემავალი და გამომავალი ჰაერი)
				(გამომავალი ჰაერისათვის, ფაკულტატური	შემავალი ჰაერისათვის)

		რისკის დონეები			
		1	2	3	4
მუშაობის სისტემა	სპეციფიკაციები				
13	დახურული სისტემა უნდა მდებარეობდეს კონტროლირებად სივრცეში	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო
14	ხელმისაწვდომობა უნდა იყოს შეზღუდული, გარდა სამუშაოზე დაშვებული პერსონალისა	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
15	ბიოსაფრთხის ნიშანი უნდა იყოს განთავსებული	არა სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო
16	კონტროლირებადი ტერიტორიის დატოვების შემდეგ პერსონალმა უნდა მიიღოს შხაპი	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
17	პერსონალმა უნდა ატაროს დამცავი ტანსაცმელი	სავალდებულო (სამუშაო ტანსაცმელი)	ფაკულტატური (სამუშაო ტანსაცმელი)	სავალდებულო	ტანსაცმლის მთლიანი შეცვლა შესვლამდე და გასვლის შემდეგ
	ნარჩენი				
18	გენეტიკურად მოდიფიცირებული მიკროორგანიზმების გაუვნებელყოფა ხელსაზღაურის, შხაპისა და მსგავს გამდინარე წყლებში	არა სავალდებულო	არა სავალდებულო	ფაკულტატური	სავალდებულო
19	გენმოდიფიცირებული მიკროორგანიზმებისაგან დაბინძურებული მასალების გაუვნებელყოფა	ფაკულტატური	სავალდებულო	სავალდებულო	სავალდებულო